ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში. 2
2. ფინანსური მდგომარეობა 31.12.2022..... 3
3. საქმიანობის შედეგები 31.12.2022..... 4
4. ფულადი სახსრების მოძრაობა 5
5. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები..... 6

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტ ნდარტების შესაბამისად (მსს ფასს)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შპს „GREENWAY LOGISTIC LTD"-ს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

• ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველ ყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.

• დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

• საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

• ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

• სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

• კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

• თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

დირექტორი ნატალია რაჯებაშვილი

ფინანსური მდგომარეობა 31.12.2022

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8863	54739	22957
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1040658	477396	69261
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი~			
სახსრები	0	0	0
მარაგები	45848	18244	10789
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	45848	18244	10789
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	638468	310672	393095
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1733837	861051	496102

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	138697	36396	184036
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7450	7605	8456
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	807767	489668	0
მიღებული გრ ანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	7661	56582	207508
სულ ვალდებულებები	961575	590251	400000

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი(შპს-ს შემთხვევაში „კაპიტალი“, კოოპერატივის	78317	155500	155500
შემთხვევაში „საპაიო კაპიტალი“)	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	693945	115300	-59398
გადაფასების რეზერვი	0	0	0

საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	772262	270800	96102
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1733837	861051	496102
სულ მოკლევადიანი აქტივები	1095369	550379	103007
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2022**	**31/12/2021**
ნეტო ამონაგები	10305823	9571463
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	9757408	9571463
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	548415	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	10305823	9571463
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-392896	-347935
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-71104	-12180
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-24260	-24076
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-8748225	-9012574
სულ საოპერაციო ხარჯები	-9236485	-9396765
საოპერაციო მოგება	1069338	174698
გაუფასურების (ხარჯი)/აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) /აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი)/აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი)/აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	0	0
და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი /(ხარჯი)	-490693	0
მოგება/ (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	0	0
ოპერაციებიდან	578645	174698
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	578645	174698

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)	0	0
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი	0	0
ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	578645	174698
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	270800	96102
ახალი აქციების გამოშვება(შპს-ს შემთხვევაში „კაპიტალის გაზრდა“	0	0
კოოპერატივის შემთხვევაში „საპაიო კაპიტალის გაზრდა“	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-77183	0
საკუთარი კაპიტალი საანგარშიგებო პერიოდის ბოლოს	772262	270800

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2022**	**31/12/2021**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში	-45876	31782
გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი(საინვესტიციო საქმიანობაში	0	0
გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში	0	0
გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-45876	31782
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და	0	0
მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო	54739	22957
პერიოდის დასაწყისში	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო	8863	54739
პერიოდის ბოლოს	0	0

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება GREENWAY LOGISTIC LTD -ის (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია") სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელდა 2012 წელს, მარეგისტრირებელი ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
იურიდიულ მისამართი: საქართველო ქ.თბილისი. ჩუღურეთის რაიონი, ც.დადიანის ქუჩა N7, კომერციული ფართი, N8 301, N8 302.
საიდენტიფიკაციო კოდი: 401977866
საქმიანობის სფერო: ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები .
ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არის ეროვნულ ვალუტაში ლარი

ანგარიშების პერიოდი: ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2022 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

სააღრიცხვო პოლიტიკა და წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშება მოიცავს :

1. **ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);**
2. **ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს**
3. **ახსნა-განმარტებით შენიშვნებს**

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ,ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით .

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება , რომ კომპანია ვერ ახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები , მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია აქციონერისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა წარმოშობილი რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი.საწყისი აღიარების შემდეგ , სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესავ ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით ,რომელიც მოცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან ,შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპი დანახარჯებს .

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცვის მეთოდია -უწყვეტი -

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითრირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო შეწონილი“

სხვა აქტივების აღრიცხვა - მრავალჯერადი გამოყენების აქტივები რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძებელია ,აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა -

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს

-100 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს (კალკულატორი ,ტელ.აპარატი და სხვა)

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯები ,დისკები ,ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვენა კომპიუტერის ხარჯებს

სამშენებელო მასალები რომლებიც გამოიყრნება მიმდინარე რემონტისათვის ,ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე

ძირითადი საშუალებები-

ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით რომელიც მოიცას ნასყიდობის ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად გადასახადებს ,ტრანსპორტირების ,მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხვება წრფივი მეთოდით;

საწარმო ძირითადი საშუალებებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან .

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით ,რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

საგადასახადო ვალდებულებები

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხებით)

შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავლებს იღებს მომსახურების გაწევიდან. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლის შესაბამისად ,საწარმოს მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგვრის მომენტის გადატანა მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემული მოგება). ამ მოდელის მიხედვითგაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის. სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ თუ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას გააჩნია სესხი, მიმდინარე პერიოდში, აქედან გამომდინარე მას გააჩნია საპროცენტო რისკიც.

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ

წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში

საეჭვო ვალების რეზერვი. საწარმო კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

შპს გრინვეი ლოჯისტიკ

დირექტორი: ნატალია რაჯებაშვილი

27.09.2023 წ.